გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გეომედი ლაიფი Geomedi Life

№20 (21) 2025 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი



11 დეკემბერს, უნივერსიტეტ გეომედის ორგანიზებით ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო, პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტში მოღვაწე მკვლევარებმა და პროფესორებმა. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციის მასალებში.

12 დეკემბერს კი ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო მოხსენებები მედიცინის, რეაბილიტაციის, სამედიცინო მენეჯმენტის სფეროში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტ გეომედის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები.

თითოეული განხილული თემის გარშემო გაიმართა დისკუსია. კონფერენციის ბოლოს კომისიამ შეაფასა და გამოავლინა საუკეთესო მომხსენებლები:

I ადგილი – Niyati Nileshkumar Vaidya (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი - ელენე ასანიძე)

II ადგილი – Pooja Hiteshbhai Rajput (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი - ეკატერინე ყიფიანი)

III ადგილი – მარიამ არჩუაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი - მიხეილ ლოლაძე)

ჟიურის სიმპათია – ქეთი მამულაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი, ხელმძღვანელი - თამარ ბუაძე)

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები დაიბეჭდება სტუდენტების ნაშრომთა კრებულში ,,სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“.

უნივერსიტეტ გეომედის პროფესორებმა ალექსანდრე ლოლაძემ და მაია სვანიძემ მონაწილეობა მიიღეს ანესთეზიოლოგთა და რეანიმატოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაში ,,გეოანესთეზია 2025.” მათ წარადგინეს მოხსენებები: ,,კრისტალოიდური ხსნარები, რომლებიც გამოიყენება მწვავე ოპიოიდური ნარკოტიკებით მოწამლულ პაციენტებში მჟავე ტუტოვანი ბალანსის კორეგირებისათვის” და ,,COVID-19 -ით ინფიცირებულთა რაოდენობის კორელაცია მიწისპირა ოზონის დონის მაჩვენებლებთან თბილისში 2020-2022 წლებში”.

VIII საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც ბათუმში ჩატარდა ანესთეზიოლოგიის, რეანიმატოლოგიის, ტოქსიკოლოგიისა და გადაუდებელი მედიცინის სფეროს წამყვანი სპეციალისტები გააერთიანა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ ერთმანეთს გაუზიარეს სამეცნიერო გამოცდილება, ხედვა თანამედროვე მედიცინის შესახებ, ინოვაციური მიდგომები და ა.შ. იმსჯელეს დარგის განვითარების მთავარ ტენდენციებსა და გამოწვევებზე. ღონისძიებაზე სპიკერებად წარმოდგენილი იყვნენ ექსპერტები საქართველოდან, აშშ-დან, გაერთიანებული სამეფოდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან და შვეიცარიიდან.

აღნიშნული კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე სამედიცინო მეცნიერების განვითარებისა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის გაფართოების მიმართულებით.

უნივერსიტეტ გეომედის ორმა სტუდენტმა 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ევროკავშირის პარტნიორ უნივერსიტეტებში გაიარა. პროგრამა ერაზმუს+ ფარგლებში განხორციელდა.

ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის სტუდენტმა, გიორგი ბექაურმა გაზაფხულის სემესტრი პოლონეთში, ქალაქ შელცეში გაიარა. ხოლო მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა, აპურვა გავანდე რუმინეთში, ქალაქ იასში იმყოფებოდა, სადაც ერაზმუს+ პროგრამით გათვალისწინებული იყო სრული სტიპენდია.

ქალაქ ერევანში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „15 Years of Excellence in Biotechnology: Achievements and Perspectives", რომელზეც მთავარ მომხსენებლებად მიწვეული იყვნენ უნივერსიტეტ გეომედის აფილირებული პროფესორი ვალენტინა მიტტოვა და ბიოსტრუქტურების და ბიოიმიჯინგის ინსტიტუტის (იტალიის კვლევების ეროვნული საბჭო – CNR) უფროსი მკვლევარი და ასევე უნივერსიტეტ გეომედის აფილირებული პროფესორი ჯოვანი როვიელო. ღონისძიება სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ARMBIOTECHNOLOGY-ის სამეცნიერო და საწარმოო ცენტრის 15 წლის იუბილეს მიეძღვნა.

პროფესორმა მიტტოვამ წარადგინა პრეზენტაცია თემაზე "The Potential of Georgian Medicinal Plants as Alternative Therapeutics", ხოლო პროფესორმა როვიელომ "Molecular biosystems based on synthetic amino acids for potential biomedical applications". პრეზენტაციებმა გამოიწვია დიდი ინტერესი დამსწრე საზოგადოების მხრიდან.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ექსპერტები, რათა განეხილათ და გაეზიარებინათ ბიოტექნოლოგიურ კვლევებში ათწლეულის განმავლობაში მიღწეული წარმატებები და სამომავლო გეგმები.

უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები და დეკანატების წარმომადგენლები.

საინტერესო კითხვების ფონზე თამაში დაძაბულად და ემოციურად მიმდინარეობდა. გამარჯვება მოიპოვა სტომატოლოგიის გუნდმა.

გეომედის სტუდენტური თვითმართველობის ორგანიზებით და ადმინისტრაციის მხარდაჭერით სტუდენტები იმყოფებოდნენ ძამას ხეობაში. ექსკურსიის ფარგლებში სტუდენტებმა მოინახულეს იქ არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები და ულამაზესი ბუნება. გაიმართა სხვადასხვა სახის სახალისო და გასართობი აქტივობა.

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტ გეომედის უცხოელ სტუდენტებთან. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა ყურადღებით მოისმინეს უცხოელი სტუდენტების მოსაზრებები, პრობლემები და საჭიროებები.

სტუდენტური თვითმმართველობის მთავარი მიზანია თითოეული სტუდენტის ინტერესების დაცვა, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ინიციატივების დაგეგმვა. აღნიშნული შეხვედრა ემსახურებოდა არსებული გამოწვევების უკეთ გაცნობას და მათზე ეფექტური რეაგირების გზების განსაზღვრას, რაც ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიური და სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნას.

12 დეკემბერს უნივერსიტეტ გეომედის ინიციატივით ექიმი სარა ხადერი ესტუმრა უნივერსიტეტის კამპუსს, სადაც მე-5 – მე-12 სემესტრის სტუდენტებისთვის ჩაატარა FMGE გამოცდისთვის მოსამზადებელი ხუთდღიანი კურსი. სარა ხადერი, ერთ-ერთი წამყვანი ექიმი და პედაგოგია ინდოეთის რესპუბლიკაში, რომელიც ცნობილია გამოცდებზე ორიენტირებული სწავლის მეთოდებითა და სტილით. მისი გამოცდილება, სიცხადე და სწავლების სტილი ეხმარება უამრავ სტუდენტს.

დამსწრე სტუდენტებმა შეისწავლეს აღნიშნული გამოცდის ძირითადი თემები და სტრუქტურა, განიხილეს მოსამზადებელი პროცესის თავისებურებები და დაწერეს ტესტური ვერსია.

კონფერენცია „ბიბლიოთეკა 4.0: ცოდნის საცავები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში"

9 დეკემბერს Innovative Systems Management (ISM)-ის ორგანიზებით თბილისში გაიმართა ყოველწლიური კონფერენცია „ბიბლიოთეკა 4.0: ცოდნის საცავები AI ეპოქაში". კონფერენცია აერთიანებდა EBSCO-სა და Innovative Systems Management (ISM)-ის საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს.

კონფერენციაში მონაწილეობდა უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნანა ცერცვაძე.

ღონისძიებაზე განხილული იყო ხელოვნური ინტელექტის (AI) საფუძველზე შექმნილი ფუნქციები EBSCOHost პლატფორმაზე, ბიბლიოთეკების მომავალი ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, ,,ცოდნის საცავების" ინოვაციური სერვისები და ა.შ.

მონაწილეებმა ისაუბრეს ბიბლიოთეკა 4.0-ის პრაქტიკული მოდელების, მომავლის სტრატეგიებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც ჩნდება ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის სინერგიის პირობებში.

ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II -ის ქუჩა #4. ტელ: 275-25-20 ვებგვერდი: www.geomedi.edu.ge ელ-ფოსტა: info@geomedi.edu.ge
პასუხისმგებელი პირები: ნათია ბუაძე, ნანა ცერცვაძე